ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements **განთავსებული "ლოიალობის პროგრამაში ჩართვის შესახებ ხელშეკრულების" (შემდგომში „ხელშეკრულება") 3.3 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების შეტანას:**

ხელშეკრულების მე-5 მუხლს დაემატოს 5.1.18 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5.1.18. პარტნიორ კომპანიას მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით. პარტნიორი კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პარტნიორი კომპანია ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე."